ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 77

"3" აპრილი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „გოლდვინს" (ს/კ 405308135) შორის 2019 წლის 21 იანვარს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-441-36-23013" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, 127[2] მუხლის მე-2 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს-ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „გოლდვინს" (ს/კ №405308135) შორის 2019 წლის 21 იანვარს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-441-36-23013" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №20.380.420 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს-ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „გოლდვინს" (ს/კ 405308135) შორის, 2019 წლის 21 იანვარს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-441-36-23013" ხელშეკრულების „ბ" პუნქტით გათვალისწინებული პირობა - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ჩარჩო გეგმის ფარგლებში".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე